საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არამ-ხუტუ

არამ-ხუტუ, ამირანის ორეული ამირანიანის მეგრული ვერსიით. ზოგიერთ მეცნიერს (ი. ჯავახიშვილი) შესაძლებლად მიაჩნია, რომ „არამ“ ამირანის თავდაპირველი ფორმაა. ა.-ხ-ს ხური-ურარტულ ონომასტიკასთან უნდა ჰქონდეს კავშირი (გ. ჟორდანია). მამაკაცის საკუთარ სახელს ხუტუ (ხუტა) – ხუთა-ს შესატყვისი მოეპოვება ხური-ურარტულ ტექსტებში (ნუზის არქივი) და დასაშვებად არის მიჩნეული, რომ სახელი „ხუტუ“ წარმოდგება ურარტელთა დედამიწის ღვთაება ხუტუინისაგან (გ. მელიქიშვილი). რაც შეეხება „არამს“, იგი უკავშირდება ურარტელთა პირველი მეფის – არამეს სახელს. დასაშვებია ისიც, რომ ურარტელმა ხალხმა თავისი გმირი მეფის სახელს დაუმატა „ხუტუ“ და ამით ის ღვთაებრივ სამყაროს დაუკავშირა.

ლიტ.: ჟ ო რ დ ა ნ ი ა გ., მეხურელნი, თბ., 1956; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.1).